



## რა ფასი დაედება ამ გოლს?



გუმინ ვაკეში. დინამო-ზესტაფონი 2:2. ზესტაფონელი ბექა გოცირიძის გოლი მატჩის ბოლო წამებზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო



### მოგვალ კვირები:

ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი.  
17-22 მაისი, სოფია

#### საპარტოვლოს ნაირები

ანტიკური: ირაკლი ჭოჭუა (55), დავით ბედინაძე (60), მუხრან მაჭუტაძე (66), მანუჩარ კვიციანი (74), ბადრი ხასაია (84), რამაზ ნოზაძე (96)

თავისუფალი: ბესარიონ გუჩაშვილი (55), გიორგი ბალიაშვილი (60), კობა კაკალაძე (66), გელა საღინაშვილი (74), ლერი ქეთიშვილი (84), გიორგი გოგუელიძე (96), ალექსი მოდებაძე (120)




### ლომინაიშვილი მიხანთან კალიან ახლოსაა



ჭადრაკი. ევროპის ჩემპიონატი

13



### მთავარი ახლა ინყება:

### გზაღმა მსოფლიო პირველობისთვის

ინტარვიუ შოთა ხაბარაელთან

11

სავესებით მოსალოდნელი იყო, საქართველოს ჩემპიონატის გუმინდელ ტურს ცხრილში დიდი გადაადგილებები გამოეწვია, მაგრამ ბევრი სიახლე არ მოუტანია. პირველ-მეორედგილოსნებმა ერთმანეთის ნაფორილებით ვერ ისარგებლეს, რისი წყალობითაც ზედა სამეულში "ამერი" შეიჭრა.

ამის მიუხედავად, ფეროელებს "დინამოსთან" სტუმრად მოპოვებული ქულა შენაძენად მიაჩნიათ, ასე რომ, "ზესტაფონისთვის" ეს ტური უიღბლო არ ყოფილა.

ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება. დღევანდელი გადასახედიდან, "ოლიმპსა" და "დინამოს" სხვებზე ბევრად მეტი შანსი აქვთ, თუმცა იმედები არც "ამერსა" და "ზესტაფონს" გადაუწურავთ.

ჩემპიონზე გაცვილებით ადრე გამოვლინდებიან პირველ ლიგაში დაქვეითებულნი. კაცმა რომ თქვას, ფორმალაობა და დარჩენილი, თორემ დღესავით ნათელია, რომ "დილა" და "კახეთი" იქვე დარჩებიან, სადაც ამჟამად არიან. თელაველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ცხრილის ქვედა ნაწილში მოვლენები ისე განვითარდა, გამარჯვების მიუხედავად, უმაღლესიდან გასასვლელ კარში გორელებიც თითქმის უკვე გასულენი არიან.

#### XX ბური

|                   |     |
|-------------------|-----|
| დინამო-ზესტაფონი  | 2:2 |
| გორაკი-ტორაქლო    | 5:1 |
| ამერი-სიონი       | 1:0 |
| დილა-კახეთი       | 3:1 |
| კათუში-ლოკომოტივი | 0:1 |
| ჩიხურა-მერანი     | 1:0 |
| ვიტ ჯორჯია-ოლივი  | 0:0 |

|                | თ  | მ  | ფ | ბ  | ქ     |    |
|----------------|----|----|---|----|-------|----|
| 1. ოლივი       | 20 | 15 | 4 | 1  | 45-6  | 49 |
| 2. დინამო      | 20 | 15 | 1 | 4  | 41-17 | 46 |
| 3. ამერი       | 20 | 13 | 4 | 3  | 35-12 | 43 |
| 4. ზესტაფონი   | 20 | 12 | 7 | 1  | 39-8  | 43 |
| 5. ვიტ ჯორჯია  | 20 | 11 | 6 | 3  | 38-23 | 39 |
| 6. სიონი       | 20 | 10 | 2 | 8  | 25-17 | 32 |
| 7. ტორაქლო     | 20 | 8  | 4 | 8  | 19-22 | 28 |
| 8. გორაკი      | 20 | 6  | 5 | 9  | 22-30 | 23 |
| 9. კათუში      | 20 | 6  | 4 | 10 | 19-23 | 22 |
| 10. ლოკომოტივი | 20 | 5  | 5 | 10 | 13-26 | 20 |
| 11. ჩიხურა     | 20 | 4  | 6 | 10 | 12-27 | 18 |
| 12. მერანი     | 20 | 4  | 6 | 10 | 14-31 | 18 |
| 13. დილა       | 20 | 2  | 3 | 15 | 13-49 | 9  |
| 14. კახეთი     | 20 | 0  | 1 | 19 | 16-60 | 1  |

#### XXI ბური. 21 აპრილი

|                   |  |
|-------------------|--|
| ვიტ ჯორჯია-გორაკი |  |
| ოლივი-ჩიხურა      |  |
| მერანი-კათუში     |  |
| ლოკომოტივი-დინამო |  |
| ზესტაფონი-დილა    |  |
| კახეთი-ამერი      |  |
| სიონი-ტორაქლო     |  |

საპარტოვლოს ჩემპიონატი

## 2-5



www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინოთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

**დინამო-ჯესტაფონი**

**2:2**

13.04. თბილისი. მ. გენსი  
1000 მაყურებელი

0:1 ქელიძე (18. იონანიძის პასით), 1:1 იაშვილი (30. კაპაის პასით), 2:1 ფეიქრიშვილი (32. მერეზაშვილის პასით), 2:2 გოცირიძე (90. იონანიძის პასით)

64-ე წუთზე იაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი

**დინამო:** გრიშკაშვილი, შ. კაპია, ზელიჩი, კრუკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი (86. ოდიკაძე), მერეზაშვილი, ხმალაძე, დიდმელაშვილი, კობახიძე (80. ხუციშვილი), იაშვილი

**სტაბილიზატორი:** მაკარიძე, გ. კაპია, ლ. ნოზაძე, სპასოვიჩი, თომაშვილი

**ჯესტაფონი:** ჭანტურია, თოდუა (85. ბ. ნოზაძე), ლონდაძე, საჯაია, კ. ჩხეტიანი (70. ბ. გოცირიძე), გ. ქელიძე, ტორეხი (65. ნ. კვასხვაძე), რ. ონიანი, კესანი, ვიგორა, იონანიძე

**სტაბილიზატორი:** რ. კვასხვაძე, სანტოსი, ხიდუშელი, ფიფია

**გაფრთხილება:** ჭანტურია (64), კესანი (66), თოდუა (81), შაშიაშვილი (85), მერეზაშვილი (87)

**არბიტრი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

## სუპერთოპაქონსი

უმაღლესი ლიგა. XX ტური

## ჩემპიონატი

# რა ფასი შენება ამ გოლს?



გიორგი ფეიქრიშვილის ამ დარტყმამ დინამო დაანინაურა



ონიანი (მარცხნივ), მერეზაშვილი და იაშვილი ბურთისთვის ბრძოლაში

...უღმრთესი ფეხბურთი: გმირობიდან ანტიგმირობამდე რომ ერთი ნაბიჯია, უკვე მერამდენედ დამტკიცდა. არა, ენა როგორ უნდა მოგვიბრუნდეს გუმბინდელი მატჩი-მშვენიების ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელზე აუცილებელი ვთქვათ, მაგრამ ფაქტია - **სანდრო იაშვილს** პენალტი რომ გაეტანა, არა გვგონია, სტუმრებს ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოეფხვრათ.

ეს ყველაფერი მეორე ტაიმში იყო; ისე როგორც "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის გონივრული და, რაც მთავარია, ეფექტური შეცვლები; აღარაფერს ვამბობთ მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტუმართა მეორე გოლსა და ამით გამოწვეულ მართლაც "არანორმალურ" სიხარულზე. გაოგნებულ დინამოელებს კი დიდხანს არ სჯეროდათ, თუ რა მოხდა მატჩის ბოლო წამებზე...

ტურის ცენტრალურ მატჩს მეტოქეები სხვადასხვა განწყობით შეხვდნენ:

"დინამომ" მეორე ნრეში ექვსივე შეხვედრა მოიგო და ლიდერთან სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა; მაშინ როცა, ბევრისთვის მოულოდნელად, "ზესტაფონმა" ორჯერ დაუგეგმავი ქულები დაკარგა. არანაკლებ ინტრიგა ჰქონდა სატურნირო მოტივაციასაც - ამ მატჩში ნაგებული, ალბათ, საბოლოოდ უნდა დამშვიდობებოდა ოქროს მედლებისთვის ბრძოლას. და ბოლოს, მწვრთნელების ფაქტორიც: **თემურ მახარაძეს** სადაც კი უმუშავია, მისი განვრთნილი გუნდები იშვიათად მარცხდებოდნენ "დინამოსთან". თანაც, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაც გაიცისნოთ, რო-

ცა "ზესტაფონმა" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე. სხვათა შორის, ეს იყო **დუშან უპრინის** პირველი მატჩი "დინამოს" მწვრთნელის რანგში და ჩეხ სპეციალისტს გუშინ რევანშის წყურველიც ექნებოდა. უპრინის და მის "დინამოს" ამისათვის ნაშები დააკლდათ...

...დინამო" მოედანზე ოპტიმალური შემადგენლობით გავიდა, სტუმრებს კი ავადმყოფობის გამო **გაგა ჩხეტიანი** და **გოგი ფიფია** დააკლდათ. სამაგიეროდ, არცთუ ხანმოკლე შესვენების შემდეგ ძირითადში გამოჩნდა **ზურაბ იონანიძე**. ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ნომერ პირველმა ბომბარდირმა


თავისი საქმე გააკეთა: სწორედ მისი ჩინებული პასის შემდეგ იყო, **გიორგი ქელიძე** მარჯვნიდან რომ შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა! არადა, გოლამდე თითქმის თანაბარი თამაში მიდიოდა; მეტოქე გუნდის თითოეული ფეხბურთელი ყოველი მონაკვეთისთვის თავგანწირვით იბრძოდა, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, პირველ გოლამდე სახიფათო მომენტები არც ერთ კართან არ შექმნილა.

აი, გოლის მერე კი "სახალისო" ბურთობაც ვიხილეთ. მალე, დროის სულ მცირე მონაკვეთში "დინამომ" ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი, სულაც წინ გავიდა! მასპინძელთა პირველი გოლი მართლაც ჩინებული გამოდგა: **შოთა კაშიას** ფლანგური გარდევვა მეტოქის საჯარიმოში ზუსტი გადაცემით დასრულდა, სადაც **სანდრო იაშვილმა** უნაკლო თავური დარტყმით **გრიგოლ ჭანტურია** უშანსოდ დატოვა. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ სტუმართა მარჯვენა ფლანგელთა შეცდომა ჩინებულად გამოიყენა **გიორგი მერეზაშვილმა**, რომელმაც ცარიელი კარის წინ მარტოდ მდგომ **გიორგი ფეიქრიშვილს** გადაცემა არ დაუგვიანა და ამ უკანასკნელმაც ბურთი, ფაქტობრივად, ცარიელ კარში შეაგორა. სიმბოლურია, რომ კაშია, იაშვილი, მერეზაშვილი და ფეიქრიშვილი ვახსენეთ - ეს ოთხეული პირველ ტაიმშიც და, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში გამორჩეული იყო "დინამოში". სტუმრებს რაც შეეხებათ, **შალვა ლონდაძემ** კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ ჩინებული მცველია; იგივე შეგვიძლია ვთქვათ **ვიგორაზეც** - ადრეც აღვნიშნეთ, რომ ეს ბრაზილიელი მარცხენაფლანგელი თავის ამპლუაში საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

...მეორე ტაიმშიც თავიდან თანაბრად დაიწყო, მაგრამ ტერიტორიული უპირატესობა უფრო მასპინძლების მხარეს იყო, რაც, ზემონახსენებ დინამოელთა დამსახურება იყო. და, დადგა ამ მატჩის კულმინაცია: 64-ე წუთზე **სანდრო იაშვილმა** მოედნის ცენტრიდან იშვიათი სიზუსტის და სილამაზის პასით გოგრი მერეზაშვილი მოქებნა; ამ უკანასკნელმაც ფინტების კასკადით ჯერ მეტოქის ორი მცველი ჩამოიშორა, მერე მეკარესაც გასცდა და გამოცდილ ჭანტურისადაც ისლა დაარჩენოდა, "დინამოს" ზეატკიური ნახევარმცველი წესების დარღვევით შეეჩერებინა. მატჩის არბიტრს, **ლევან ფანიაშვილს** არც უყოყმანია - ჭანტურიაც გააფრთხილა და ასპროცენტური პენალტიც დანიშნა. პენალტის ნიშნულთან იაშვილი მივიდა და... მისი დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა!

...მერე იყო თემურ მახარაძის გონივრული შეცვლები, რის შემდეგაც "ზესტაფონის" ტაქტიკური განლაგება შეიცვალა და "დინამოს" საჯარიმოშიც დაძაბულობა მოიმატა. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი **სოსო გრიშკაშვილმა** ზედზედ ორჯერ ურთულესი ბურთი მოიგერია - ჯერ ქელიძეს აულო, მერე კი - ვიგორას. მერე იონანიძეს ჰქონდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ მისი თავური მიზანს ასცდა. და მაინც, სტუმრებს თავგანწირვა დაუფასდათ: **ბექა ნოზაძის**, **ნიკა კვასხვაძის** და **ზურაბ იონანიძის** მრავალსეულიანი კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაავიწროვინა **ბექა გოცირიძემ**. აი, ასე დასრულდა ღირსეულ მეტოქეთა მატჩი და არავინ იცის, ბოლო წამებზე გასულ გოლს რა ფასი ექნება; თანაც, ორივე გუნდისთვის...

გია ტუხაშვილი



იაშვილის პენალტი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

### მატჩის შედეგ

### ბუბა ტყავაძე

დინამოს მმართველი ღირსეული:

- ამ მატჩისადმი ინტერესი დიდი იყო და თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ თამაშმა თავისი დაძაბულობით ქომაგთა იმედები გაამართლა. ამიტომ ორივე გუნდის ფეხბურთელებს მადლობას ვუხდით. მეჯერა, გულშემოტკივრები კმაყოფილი დარჩნენ საინტერესო თამაშით.

- როგორც გავიგეთ, თვლით, რომ დანიშნულ პენალტს "ზესტაფონის" მეკარის გაძევება უნდა მოჰყოლოდა... - არაერთხელ მინახავს მოედნიდან გაძევებული მეკარე. არ მესმის, რატომ არ

მოქმედებს ეს წესი ჩვენს ჩემპიონატში. რჩევის სახით მინდა ვთქვა. მსაჯი მეტად პრინციპული უნდა იყოს. გასაფრთხილებელი უნდა გააფრთხილოს, გასაძევებელი გააძევეს. მერეზაშვილის ნაცვების დანიშნული პენალტი, მართლაც ბოლო იმედის ჯარიმა იყო. იმ დროს როცა მეკარე მონინალმდგის ფეხბურთელს აქცევს და მის უკან კარი ცარიელია, ეს ბოლო იმედის ჯარიმა და სხვა არაფერი.

**სანდრო კობახიძე (დინამო):** "ძალიან გულდაამნვარი ვარ. 3 ქულა პაერივით გვჭირდებოდა... თუმცა, მატჩის ბოლო წუთზე დასანანი გოლი გაუშვით და 2 ქულა დავკარგეთ".



**გიორგი ფეიქრიშვილი (დინამო):** "ეს მატჩი მართლაც ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული თამაში იყო. მიღებული გოლის შემდეგ თამაშის შემობრუნება შევქმენით, მაგრამ მეორე ტაიმის ბოლო წუთები სათანადოდ ვერ ვითამაშეთ. დასანანია, როცა ქულებს ვკარგავთ, მაგრამ ჩემპიონობისთვის "დინამო" მაინც ბოლომდე იბრძოლებს."

**ბექა გოცირიძე (ჯესტაფონი):** "ტრავმის გამო რამდენიმე კვირა გამოიცდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე".

დავით ცაბაძე

**აზერი-სიონი**

**1:0**

13.04. თბილისი. აზერი 800 მაყურებელი

1:0. ბოლქვაძე (90. დეკანოსიძის პასით)

აზერი: ქვაჩიაძე, კაკაშვილი (78. ტატა-ნაშვილი), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, მჭედლიშვილი (46. ჯელაძე), ბოლქვაძე, დიდავა (66. დეკანოსიძე), დოლიძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი

საბურთალოსი: ნადირაშვილი, გვაძაბია, ჩიბაქაძე, გაბისკირია


სიონი: მამალაძე, კობაური, ბოლომო, სვანიძე, რაჭვიანი, კორღალიძე, ოქროპირიძე (46. ბაჯელიძე), ბაბუნაშვილი, ვეოჩი (22. უგრეხელიძე), ქარდავა (46. ცხადაძე)

საბურთალოსი: ბოლომო, ებონია, მუხომბე, ლ. ქელიძე

ბაზრისნიშნა: სვანიძე (72), დავითნიძე (84)

არბიტრი: მ. კიკაჩიშვილი

# სიონს საშიზნე სჭირდება



მატჩის ერთადერთი გოლი დეკანოსიძის (10) და ბოლქვაძის (17) კომბინაციას მოჰყვა

გიორგი ჩხარაძემ 4-4-2 ტაქტიკური განლაგებით დაიწყო შეხვედრა, კახა ცხადაძემ კი "სიონი" 4-5-1 სქემით გაიყვანა მოედანზე.

ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი აჩვენა და დაცვაში შეცდომები ამით იყო გამოწვეული. დასაწყისში, რაც უნდა გაგიკვირდეთ, შეტევებში "ამერის" კაპიტანი დავითნიძე აქტიურობდა. მე-15 წუთზე დრიბლინგით მეტოქის კარს მოუახლოვდა და დარტყმისას ოდნავ უმეტყუნა სიხუსტემ. 31-ეზე კი გოლიც გაიტანა. დავითაშვილის მიერ ჩამონოდებულ კუთხურზე კაკაშვილმა ყველას დაასწრო და ბურთი ძელს მორატყა, დამატებაზე კი "ჯორჯომ" ბაღე შეარხია. თუმცა მსაჯმა კაკაშვილს წესების დარღვევა დაუფიქსირა და გოლიც არ ჩათვალა.

დავითაშვილი ფიგაროსავით იყო - აქეთ, იქით, ცენტრში, ფლანგზე. ჯარიმებს, კუთხურებს ასრულებდა, მაგრამ სტუმარმა მცველებმა მკაცრ მარნუხებში მოაქციეს. აქტიურობა არც დოლიძესა და წინამძღვრიშვილს აკლდათ. ტაიმის დასასრულს საკამათო გახდა ეპიზოდი, როცა საჯარიმოში რატის ნაქცივისთვის პენალტი არ დაინიშნა. თუმცა 51-ე წუთზე ბოლნისელი კვიციანიშვილი დავითნიძემაც ნაქცია და მსაჯის სასტვენის ისევ დუმდა. ასე რომ, ამით მეტოქეები ბარი-ბარში იყვნენ.

"სიონი" სულაც არ იჯდა დაცვაში. პირველ ტაიმში ხელსაყრელი მომენტით სვანიძემ ვერ ისარგებლა მეორე ტაიმის დასაწყისში კვიციანიშვილი მშვენიერ პოზიციამ ალმოჩნდა, ბურთი მეკარეს თავზე გადაუგდო, მაგრამ სიხუსტემ მასაც უღალატა.

ეტყობა, ცხადაძემ საკამოდ მწვავე კონტრშეტევების განხორციელება ასწავლა ხელქვეითებს. შემთხვევით, შეიძლება, ერთხელ მოახერხო თამაშის გამწვავება, მაგრამ მთელი 90 წუთის მანძილზე ასე თამაში და მუდმივი ჩხვლეტა კონსოლიდირების სახეს იღებს. "სიონი" პირველი წრის შემდეგ ბევრად გაძლიერდა, თან, ახლა არ ითამაშეს ორბელაძემ, ალაფიძემ, სილაგაძემ, დარასელიამ, ჩასემმა. წესით, "სიონს" კიდევ უფრო მწვავე ფეხბურთის ჩვენება უნდა შეეძლოს.

მატჩის მიწურულს ბოლნისელებმა სამჯერ ვერ შეძლეს გოლის გატანა. 73-ე წუთზე კორღალიძემ ჯარიმიდან სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ ქვაჩიახიაშვილი ბურთი კუთხურზე მოიგვრია. 77-ე წუთზე უგრეხელიძემ ჩინებული გადაცემით ცხადაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ბაჩანაძე ვერ იხიერა. დაბოლოს, 86-ე წუთზე კორღალიძემ მეკარესთან პირისპირ უკვე ბაბუნაშვილი გაიყვანა და ისევ ძველი კადრი განმეორდა.

"სიონმა" ასეთი დაუდევრობის გამო წააგო. და კიდევ, მთელი შეხვედრის განმავლობაში აქტიური ბოლქვაძე, ბოლოსკენ კიდევ უფრო გააქტიურდა და ყველა შეტევის წამომწყობად მოგვეყვინა. არც ეს იკმარა და სხვებმა რომ ვერ იხიერეს, ბოლოს თავად დაადგა "ამერს" საშველი - მსაჯის მიერ დამატებულ დროში დეკანოსიძემ ბურთი კარისკენ დაარტყა, მცველებმა მიმართულეა შეუცვალეს და უმეთაფურეოდ დარჩენილმა ბოლქვაძემ 10 მეტრიდან ნანატრი გოლი გაიტანა.

მერაბ მამულაშვილი

"ამერის" პრესატაშე გიორგი დარჯანიამ თამაშამდე აღნიშნა: დღემდე თბილისელებს "სიონი" ჩემპიონატში არ ჰყავდათ დამარცხებული, ბოლნისელებს კი თასზე არ უმარჯვიათ არც ერთხელ.

გუშინ ეს ტრადიცია დაირღვა. უმძიმეს ბრძოლაში "ამერმა" მიზანს ბოლოს მიაღწია.

როგორც ყოველთვის, გლდანელებმა სტადიონი შეავსეს და მიუხედავად უსიამოვნო ქარისა, საკამოდ თამაში ცოცხალი გამოდგა. სამწუხაროდ, ჩვენი პირველობა არაა მაღალი დონის, მაგრამ გამოწვევებიც არსებობს და უნდა ვთქვათ, რომ ეს თამაში ასეთთა კატეგორიის განეკუთვნებოდ.

**ვიტ ჯორჯია-ოლიმპი**

**0:0**

13.04. მცხეთა. არაზნი 400 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია: ბედიასვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (87. ინჯგია), კლიმაშვილი (63. ბეჭვაია), მელქაძე, ლუქაშვილი, ბერიასვილი (77. სახოკია)

საბურთალოსი: მიქაბერიძე, ალაძე, ლომარტია, კიკნაძე

ოლიმპი: მერლანი, ძამსაშვილი, გ. იონანი, მახვილაძე, ქიჭვიშვილი, ნავალოვსკი, ქებაძე, აფციაური (81. ბერუაშვილი), დვალისხილი (46. გენაძე), კახელიშვილი (63. ხუბუა), რ. გოცირიძე

საბურთალოსი: მ. ალაფიძე, ჩხარტიშვილი

ბაზრისნიშნა: რაზმაძე (62)


მსაჯი: მ. მაისურაძე

# ბურის ცენტრალური მოწყენილობა

დერთი დასამახსოვრებელი მომენტი იყო. თამაში ვერ გამოდგა ისეთი, როგორც სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფ გუნდებს შეეფერებათ.

"ვიტ ჯორჯია" პირველ წრეში გაცილებით უკეთესი გუნდი რომ იყო, ამაში უკვე დავრწმუნდით. "ოლიმპს" რაც შეეხება, რუსთაველები პირველობას კი ინარჩუნებენ, მაგრამ დადებითი შედეგების მიუხედავად, ბოლო მატჩებში მთლად დამაჯერებლად ვედარ გამოიყურებოდა. გუშინ კი უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგეს, "ვიტ ჯორჯიას" უფრო მაღალი დონის შემსრულებლები რომ ჰყოლოდა, ერთპიროვნული ლიდერი შინ ალბათ მთლად ხელცარიელი დაბრუნდებოდა.

მაღალი დონის შემსრულებლები ვახსენეთ და "ვიტ ჯორჯიას" ლიდერს, ნიკოლოზ გელაშვილს გუშინ არ უთამაშა. ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა შეხვედრას თვლი ტრბუნინდან ადევნა, მისი მოედანზე არყოფნის მიზეზად მაღალი სიციხე დასახელდა. ნესტორ მუმლაძემ მის ნაცვლად ძირითადად ლუჭაშვილი გაამსხვრა, რომელიც მეორე



ვიტელთა მეკარე ბედიასვილმა ყველას დაასწრო

სართულზე ჩვეულად კი ყოჩაღობდა, მაგრამ სხვა თანაგუნდელების მსგავსად, თამაშის ისიც იზვიათად ამწვავებდა.

დანაკლისი სტუმრებსაც ჰქონდათ სეთურიძის სახით. რევაზ ძოძუაშვილმა დაცვის ცენტრი ონიანი-მახვილაძე-ქიჭვიშვილით გაამაგრა, ფლანგელები, ძამსაშვილი და ნავალოვსკი კი უკანა ხაზსაც ეხმარებოდნენ და შეტევებშიც აქტიურობდნენ. ცენტრფორვარდ გოცირიძეს დვალისხილი და კახელიშვილი უმაგრებდნენ ზურგს.

გუშინ გააზრებული კომბინაცია, ფაქტობრივად, არ გვინახავს. ვერ ვიტყვით, რომ ფეხბურთელებს მონდომება აკლდათ, მაგრამ მათი სამშვენიერებლო ოსტატობა უკეთესის სურვილს ტოვებდა. უსახურ თამაშში თავისი წვლილი მინდვრის უფარგისმა საფარმაც შეიტანა.

მატჩი საშუალო ტემპში წარიმართა, ბურთი, ძირითადად, მოედნის ცენტრალურ ნაწილში კორავდა, გამოკვეთილი უპირატესობა არავის ჰქონდა. პირველ ტაიმში საინტერესო მხოლოდ დვალისხილისა და გიორგი დათუნაიშვილის შორეული დარტყმები იყო, ორივე შემთხვევაში

ბურთი მიზანს საკამო მანძილით ასცდა.

"ოლიმპი" ფონს გასვლას სტანდარტულეზითაც ცდილობდა, მაგრამ მრავალფეროვნება არც ამ კომპონენტის შესრულებისას შეინიშნებოდა, ჩანადებების შემდეგ, მასპინძელთა მეკარე ბედიასვილი ბურთს იოლად ეუფლებოდა.

შეხვედრის მეორე ნახევრის საწყის მონაკვეთში "ოლიმპს" მცირე უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ სახიფათო მომენტამდე საქმე არც ამჯერად მისულა. "ვიტ ჯორჯიამ" მონინალმდევის შემტევის საგულდაგულოდ გაანეიტრალა და თამაში მალე გათანაბრდა. მწვინელებმა ცვლილებებით სცადეს თამაშის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა, მაგრამ საერთო სურათი არც ამან შეცვალა.

თამაშის ყველაზე დასამახსოვრებელ ეპიზოდზე თავივე ვთქვით, "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვება ალოგიური სულაც არ იქნებოდა, თუმცა ობიექტურად, გუშინ "არმაზზე" გამარჯვებას არავინ იმსახურებდა.

"ოლიმპის" ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს, მაგრამ ძნელი სათქმელია, თამაშის ასეთი ხარისხით შეძლებს თუ არა პირველი საფეხურის შენარჩუნებას. ისიც უნდა გავისხენოთ,

ლევან ჯანაშვილი



მატჩის შემდეგ ატეხილი განვე-გამონევა მალევე მინინარდა



**დღილა-კახეთი**

**3:1**

13.04. გორი. თ. გარჯანაძე  
1500 მაყურებელი

1:0 ვარდოსანიძე (21. სულთანიშვილის პასით), 2:0 კხანიშვილი (35), 3:0 სულთანიშვილი (45. გონჩაროვის პასით), 3:1 ბიძინაშვილი (75. პენალტით)

დღილა: თევდორაძე, ბალიაშვილი, კობახიძე, ბალაშვილი, ყველაშვილი, ლომაშვილი, კ. ხანიშვილი (59. ნოზაძე), ვარდოსანიძე, ტლაშაძე (72. თაყაიძე), სულთანიშვილი, გონჩაროვი (78. ლომიძე)

საშინაძერძონი: კეჩუაშვილი, დ. ხანიშვილი, კურტანიძე, ნინაშვილი, კახიანიძე, იაშვილი, მ. ხიდაშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, ლოლაძე, კობახიძე, მანაიძე (33. ბიძინაშვილი), ჩუთლაშვილი, ბიძინაშვილი, გ. ხიდაშელი, ტეტიაშვილი

საშინაძერძონი: ქუფარაშვილი, გიგაური

გაფრთხილება: მ. ხიდაშელი (33), ბალიაშვილი (80), თევდორაძე (82)

არბიტრი: კ. ჭაჭუა

# ქულები იმატებს, შანსი იკლებს

იერიშვილისას, თევდორაძის კართან მიახლოებას რომ ვერ ახერხებდნენ, შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს ვასვლას. თევდორაძისგან განსხვავებით თელაველთა კარის დარაჯს საქმე არ გამოუდგია. მან რამდენჯერმე აშკარა გოლისგანაც იხსნა „კახეთი“, ოღონდ 35-ე წუთზე კოვა ხანიშვილის მიერ შესანიშნავად შესრულებული ჯარიმისას შანსი არ ჰქონია - 2:0.

აქამდე და შემდეგაც რამდენჯერმე გონჩაროვმა ვერ ივარგა საგოლე მომენტების რეალიზებისას. ამ მატჩში მას და მის თანაგუნდელებს უმეტესად საბა სულთანიშვილი აშარაგებდა პასებით. საბა, როგორც სათამაშო, ისე სტანდარტული მდგომარეობიდან, მეტად სახიერო მომენტებს უქმნიდა მათ, მაგრამ გორელებს უჭირდათ მომენტების გამოყენება. მოვლენებს წინ გაუფრთხილეს და აღვნიშნავთ, რომ მეორე ტაიმი რამდენჯერმე თავად სულთანიშვილსაც მოეცარა ხელი, თუმცა მანამდე პირველი ტაიმის ბოლოს გაიტანა. 45-ე წუთზე თელაველთა ერთ-ერთი იმეათ იერიშს სწრაფი კონტრშტევა მოჰყვა, რა დროსაც გონჩაროვმა სულთანიშვილის მოძრაობა დროულად შენიშნა და ზუსტი პასი მიანოდა, ამ უკანასკნელმა მცველსაც აჯობა და ოდნავ წინგამოსულ მეკარესაც - 3:0.

ანგარიში კი იყო სიმშვიდის მომტანი, მაგრამ „დილაში“ მეორე ტაიმი ზედმეტად მშვიდად დაიწყო. მასპინძლებმა მოედნის ცენტრიც დათმეს, რასაც სტუმართა ენერგიული ათამაშებაც მოჰყვა. არუდაშვილის შეგირდები ნელ-ნელა შეეჩვივნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს. დროის სვლასთან ერთად სულ უფრო უჭირდათ მათი შეტევების განხორციელება გორელებს და საბოლოოდ გოლიც მიიღეს. 75-ე წუთზე ბიძინაშვილის საჯარიმოში ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი დაზარალებულმავე გამოიყენა 3:1.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა, მაგრამ გოლი მეტი აღარ გასულა და საბოლოოდ „დილაში“ სამი ქულა მოიპოვა.

ვასილ ბალაშაძე  
გორიდან

## ლეგიონერები



გოგია გოგვა

## ისევ ფრე

გოგია გოგვას „სატურნი“ კრასნოდარს ესტუმრა, სადაც მარცხს ლებედენკოს მიერ ბოლოსწინა წუთზე გატანილი გოლის წყალობით გადაურჩა - 2:2. ეს „სატურნის“ მეოთხე ფრეა ხუთ ტურში. ქართველი ნახევარმცველი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა, რაც ყველასთვის მოულოდნელობა იყო. მან შესვენებაზე დუშან პეტკოვიჩი შეცვალა. რუსული პრემიერლიგის მესამე ტურის დანარჩენი შეხვედრები დღეს და ხვალ გაიმართება.

## გათამაშ ვერ უწყველად

პრემიერლიგის მეორე ბუნდესლიგაში მორიგი ტურის სამი მატჩი გაიმართა. ქართველ ფეხბურთელთა გუნდებიდან მხოლოდ „მოუნენიამ“ ითამაშა. ბავარიელები „პადერბორნთან“ სტუმრად 0:3 დამარცხდნენ. კლუბი მეორე ტურში ცუდად თამაშობს, ბუნდესლიგის საგზურისთვის მებრძოლთა შორის „მოუნენი“ აღარ ირიცხება. „ლომბს“ 41 ქულა აქვთ და მეთექვსმეტე ადგილზე არიან. წინა ტურში ლეინიანიძეს მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია, ახლა კი ის მე-16 წუთიდან ჩაერთო მატჩში მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა პოფმანი შეცვალა. ტურის სხვა მატჩები ხვალ გაიმართება.

ნიკოლოზ ნაჭარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სამსაჯო კომიტეტი სამძიმარს უცხადებენ ეროვნული კატეგორიის მსაჯის იონა შენგელიას დედის გარდაცვალების გამო.

შვეიცარიიდან დაბრუნებული ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა გუშინ მასშვდის წინაშე წარდგნენ და უფფაში რამდენიმე დღის წინააღმდეგ ვიზიტზე ისაუბრეს.

პრესკონფერენცია

# არგენტინა 10 დღეში გაირკვევა



ნოდარ ახალკაცი

- 29 მაისს, ციურხში ფიფას კონგრესია. წინა დღით კი უფფას კონგრესი გაიმართება. კონგრესზე იმ ცვლილებებზე იმსჯელებენ, რომელიც მიშელ პლატინის წინასწარჩენო პროგრამაში ჰქონდა შეტანილი. ვიზიტისას სწორედ მოსალოდნელ ცვლილებებზე გაიმართა დისკუსია. უფფას ხელმძღვანელობა სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან ცალ-ცალკე ანარმოებს მოლაპარაკებებს. ამჯერად მ ფედერაციის ხელმძღვანელები შეხვდნენ უფფას თავკაცებს. მე და უჩა უგულავას არაერთი შეხვედრა გვექონდა, სადაც მნიშვნელოვან საკითხზე ვიმსჯელებთ, მათ შორის, ისეთებზე, რომელიც ქართულ ფეხბურთს ეხება.

მოსალოდნელი ცვლილებების შემდეგ, რომელსაც კონგრესი, ალბათ, დაამტკიცებს, ფიფასა და უფფას კიდევ უფრო დაახლოება მოხდება. არადა, აქამდე ისეთი ტენდენცია იყო, რომ ფიფა და უფფა სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდნენ.

ახალკაცის სიტყვას კითხვა-პასუხებით მოჰყვა.

- ორშაბათს აღმასკომის სხდომა უნდა გაიმართოს, რომელიც ალბათ ფედერაციის ყრილობასა და საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხება. იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ...

- დიახ, სხდომაზე მომავალ ყრილობასა და არჩევნებზე ვიმსჯელებთ. გადანიშნულებას კი აღმასკომი მიიღებს.

- ეროვნული ნაკრების ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე რაიმე სიახლე მომართა?

- ამჟამად ორ თარიღზე, 22 აგვისტოსა და 12 სექტემბრის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მიდის მუშაობა. არგენტინასთან, ლუქსემბურგთან

და სხვა ქვეყნების ფედერაციებთან ვანარმოებთ მოლაპარაკებებს. უჩა უგულავა - არგენტინულ მხარეს ჩვენი პირობები გავაცანით, რაც ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება. რალა თქმა უნდა, ეს პროექტი ფინანსურად

რად წამგებინა არ უნდა იყოს. 22 აგვისტოსა და 12 სექტემბრის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე ინტენსიურად ვმუშაობთ და 10 დღეში ბევრი რამ გაირკვევა.

დავით ცაბაძე

**CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK**

ბოთაზოვთ სატელეკომუნიკაციო აომსახურების სრულ პაკეტს:

- CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- CDN უფასო ტელეფონის დადგმა;
- CDN მ-სს კავშირი ყველაგან და ყოველთვის;
- GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
- CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში

24 საათის

- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გრანტორიული ხარისხი
- გადახდა სხლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!  
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ნამართე!

ირ. აბაშიძის 14  
ტელ.: 550 055, 259 555  
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

იკითხეთ „ტონუსი“, იყავით ტონუსში...

# ტონუსი

მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის ფასი 30 თეთრი





















